კომერციული ბანკი სს „კრედო ბანკი“-სთვის (ს/კ 205232238) დაკისრებული ფულადი ჯარიმა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სს „კრედო ბანკი“ (ს/კ 205232238, ლიცენზიის ნომერი №256) „კომერციული ბანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2009 წლის 25 დეკემბრის №242/01 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის 3^2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, 1,000 (ერთი ათასი) ლარით დააჯარიმა.

კომერციული ბანკი დაჯარიმდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მოთხოვნების, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისთვის (ერთი შემთხვევა).